



საქართველოს ეროვნული პლატფორმა

აღმოსავლეთ პარტნიორობის
სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი

საქართველს ეროვნული პლატფორმის განცხადება მესამე მოსმენით მიღებულ „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით.

ჩვენ, აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმის წევრები, ღრმა შეშფოთებას გამოვხატავთ "უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ" კანონპროექტის მესამე მოსმენით მიღების გამო.

კანონი, რომლის მთავარი მიზანი და შედეგი სამოქალაქო საზოგადოებისა და დამოუკიდებელი მედია ორგანიზაციების უცხო ძალის ინტერესების გამტარებლად რეგისტრაციაა, შეურაცხყოფს ჩვენს ღირსებას, ძირს უთხრის საქართველოს სასიცოცხლო თანამშრომლობას საერთაშორისო პარტნიორობებთან და საფრთხეს უქმნის მიღწეულ პროგრესს ყველა სექტორში. ამასთან, სრულიად მიუღებელია ის ანტიდასავლური რიტორიკა, რომელიც თან სდევს კანონის განხილვის პროცესს და საფრთხის ქვეშ აყენებს საქართველოს ურთიერთობებს ევროკავშირს, მის წევრ ქვეყნებს, შეერთებულ შტატებსა და სხვა მოკავშირეებთან, რომლებიც მხარს უჭერდნენ საქართველოს დემოკრატიზაციას დამოუკიდებლობის მიღებიდან დღემდე.

საქართველომ ბოლო 30 წლის განმავლობაში დემოკრატიზაციის და ევროინტეგრაციის გზაზე არაერთი წარმატებული ნაბიჯი გადადგა, რომელმაც ქვეყანას დემოკრატიის და ევროპული მომავლისთვის საგრძნობი შედეგები მოუტანა, მაგრამ დღეს დადგა დღე, როდესაც გვიწევს ვთქვათ რომ საქართველოს დემოკრატია უმძიმესი გამოცდის წინაშე დგას.

დღე, როცა საფრთხის ქვეშ დადგა ყველა ის მიღწევა, რომელიც დამოუკიდებლობის მოპოვებიდან დღემდე თაობებმა მოიპოვეს, დაიცვეს და გააძლიერეს!

ამ კანონმა დღევანდელ დღემდე სანამ ის კანონად იქცეოდა ქართულ საზოგადოებას მკაფიოდ დაანახა მიზნები რომელსაც ის ემსახურება: ძალადობა, სტიგმატიზაცია, განსხვავებული აზრის დევნა, საზოგადოების გახლეჩვა, დაპირისპირება და ევროინტეგრაციის პროცესის ჩიხში შეყვანა.

ხელისუფლებამ არ შეისმინა საკუთარი საზოგადოების მოთხოვნა და საერთაშორისო პარტნიორებისა და ქვეყნის მეგობრების რჩევა გაეწვია „რუსული კანონი“.

დღეს მე-3 მოსმენით მიღებული კანონი იქცა კედლად ევროინტეგრაციის გზაზე და გააფერმკრთალდა სახელმწიფოს დეკლარირებული საგარეო პოლიტიკის სტრატეგიული მიზანი - საქართველო გახდეს ევროკავშირის წევრი.